ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №7235254

ნომერი: AR11058526

თარიღი : 20.09.2024

გაცემის თარიღი : 01.10.2024

გაცნობის თარიღი : 01.10.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი დანელიას ქუჩა, N 57;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჭუმბურიძე პ/ნ 01030013137
- ლევან რჩეულიშვილის მე-2 ჩიხი #1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 23 აგვისტოს №7192309 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 20 სექტემბრის №AR11058526 განცხადებით მომართა გიორგი ჭუმბურიძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 23

აგვისტოს №7192309 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 23 აგვისტოს №7192309 ბრძანებით, №01.14.05.009.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2024 წლის 23 აგვისტოს №7192309 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ განმარტავს, რომ შეთანხმებულ -6.48 ნიშნულის გეგმაზე B* ღერძის მიმდებარედ „12-13“ მონაკვეთში არასწორად არის დაფიქსირებული სამშენებლო მასალა, შესაბამისად, ითხოვს შეთანხმებული აღნიშნული ნიშნულის გეგმის ჩანაცვლებას წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული -6.48 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ შეთანხმებულ ამავე ნიშნულის გეგმაზე B* ღერძის მიმდებარედ „12-13“ მონაკვეთში არასწორად იყო დაფიქსირებული სამშენებლო მასალა - მონოლითური კედელი. საგულისხმოა ის გარემოება, რომ საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში აღნიშნულ მონაკვეთში მონოლითური კედელი არ არის დაფიქსირებული.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 23 აგვისტოს №7192309 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 23 აგვისტოს №7192309 ბრძანებაში და შეთანხმებული -6.48 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული არქიტექტურული გეგმით (პირველი გვერდი).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 23 აგვისტოს №7192309 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 23 აგვისტოს №7192309 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.